

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თბილისის განყოფილება

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. მენისკური ტელესკოპის შენობა. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თბილისის განყოფილება (1986-მდე - ლაბორატორია), ობსერვატორიის სტრუქტურული ქვედანაყოფი თბილისში. დაარსდა 1967. მისი დანიშნულებაა შეასრულოს ობსერვატორიის ფუნქციონირებისა და იქ ახ. ტექნიკის გამოყენებისათვის აუცილებელი ოპტ.-მექან., საკონსტრუქტორო, გამოთვლითი და სხვა სამუშაოები, რ-თა შესრულება თვით ობსერვატორიაში, მთა ყანობილზე, მოუხერხებელია; დააჩქაროს ობსერვატორიაში მიღებულ დაკვირვებათა დამუშავება და შედეგების დასასტამბავად მომზადება; თსუ ასტრონ. კათედრასთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს ასტრონომთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას; გააადვილოს ობსერვატორიის აუცილებელი შემოქმედებით-ორგანიზაციული კონტაქტი ფიზ., მათ., მართვის სისტემების ინ-ტებთან და სხვა ორგანიზაციებთან.

განყ-ბას აქვს მზის სისტემის მცირე სხეულების ფიზ. კვლევის ლაბორატორია, ასტრონ. ხელსაწყოთმშენებლობის ქველაბორატორია, ოპტ.-მექან. სახელოსნო. აქვეა თეორ. ასტროფიზ. განყ-ბაც.
